

ნამახვანი ჰესის მედიაცენტრის პროცესი

ანგარიში



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ნამახვანი ჰესის მედიაციის პროცესი ანგარიში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
2021



ანგარიში მომზადდა ევროპის ფონდის დაფინანსებით, *დანის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს* გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევროპის ფონდის, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და *დანის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს* ოფიციალურ პოზიციებს.

ანგარიშის ავტორი: თათული ჭუბაბრია
რედაქტორი: ნინო ხიდიშელი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ,

ტელ.: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი	4
ძირითადი ინფორმაცია კონტექსტის შესახებ.....	5
<i>მედიაციის მხარეები.....</i>	8
<i>მედიაციის ფარგლები და მთავარი შეზღუდვები.....</i>	8
ანგარიში	11
I. მშენებლობის შეჩერების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა	11
II. სახელმწიფო რეპრესიისგან დაუცველობა: პროტესტის მონაწილეთა უფლებების აღდგენის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები	13
III. დამოუკიდებელი შეფასებების განხორციელების შესახებ წარმოქმნილი დაბრკოლებები	17
IV. კომპანია „ენკას“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა და პროექტის შეფასების დაუკმაყოფილებელი ინტერესი.....	22
დასკვნა	25
დანართი 1: მედიაციის პროცესში პროექტის დროებითი შეჩერებისა და შესწავლის მოთხოვნის საფუძვლები.....	25
დანართ 2: ხეობაში სახელმწიფო არაკონსტიტუციური შეზღუდვების დაწესების და პროტესტის მონაწილეების დევნის შესახებ.....	27

შესავალი

19 ნოემბერს გამოქვეყნდა ენერგეტიკული გაერთიანების¹ მიერ მომზადებული [ანგარიში](#)², რომლის მიხედვითაც აღნიშნული უწყება ნამახვანი ჰესის გარშემო მთავრობის წარმომადგენლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის 2021 წლის 12 ივნისს დაწყებულ ე.წ. მედიაციის პროცესს დასრულებულად აცხადებდა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ პროცესში ენერგეტიკული გაერთიანების მანდატს, მთავრობის წარმომადგენლებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებების წარმართვასთან ერთად, ნამახვანი ჰესის პროექტის გარშემო წარმოქნილი საზოგადოებრივი წინააღმდეგობისა და სოციალური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის, პროექტის შესახებ დამოუკიდებელი შეფასებების მომზადება წარმომადგენდა. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 2021 წლის 19 ნოემბერს ენერგეტიკული გაერთიანების მიერ გამოქვეყნებული, ზემოთ აღნიშნული, მედიაციის შემაჯამებელი ანგარიშიდან შეიტყვეს, რომ დამოუკიდებელი შეფასებების განხორციელება შეჩერდა. მიგვაჩნია, მედიატორის ეს გადაწყვეტილება, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან სათანადო კონსულტაციებისა თუ დისკუსიების გარეშე მიიღეს, რამაც წარმოშვა კრიტიკული საჭიროება იმისა, რომ პროცესის შესახებ ალტერნატიული ანგარიშიც გამოქვეყნებულიყო.

დამოუკიდებელი შეფასებების შესახებ საკუთარი სამუშაოების შეწყვეტა ენერგეტიკულმა გაერთიანებამ 2021 წლის 20 სექტემბერს გავრცელებული [ინფორმაციით](#)³ ახსნა, რომლის მიხედვითაც „ენკამ“ ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა. თუმცა იმის გამო, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნისას მისი საფუძვლები თუ შედეგები საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია, ენერგეტიკული გაერთიანების მიერ შეფასებების გადავადება მნიშვნელოვან კითხვებს პასუხგაუცემელს ტოვებს პროექტთან დაკავშირებით. პასუხგაუცემელი კითხვები შესაძლოა პროექტის განახლების შემთხვევაში კვლავ აქტუალური გახდეს. ამ ეტაპზე ენერგეტიკული გაერთიანების მიერ პროცესის დატოვება დიდი

¹ ენერგეტიკული გაერთიანება არის ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის და ბაზრის პრინციპების გავრცელება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში. 2017 წლიდან ენერგეტიკულ გაერთიანებას 10 წევრი ჰყავს: ევროკავშირი და ცხრა ქვეყანა - ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, მოლდავეთი, მონტენეგრო, სერბეთი და უკრაინა. სომხეთი, ნორვეგია და თურქეთი კი დამკვირვებელი ქვეყნებია. წყარო: <https://www.energy-community.org/aboutus/whoweare.html>; ბოლო ნახვა 16 იანვარი, 2022

² *Mediator's concluding report on Namakhvani HPP in Georgia*, 19 November, 2021, Energy Community Secretariat's Dispute Resolution and Negotiation Centre. Last seen 23.12.2021 <https://energy-community.org/news/Energy-Community-News/2021/11/19.html>

³ რა ხდება ნამახვანჰესის კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ – 3 სცენარი, 22 სექტემბერი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/564641/>

ალბათობით მთავარ გამოწვევებთან მარტო დარჩენას ნიშნავს, თუმცა პირობა, რომლის მიხედვითაც პროექტის განახლების შემთხვევაში ენერგეტიკული გაერთიანება დამოუკიდებელ შეფასებებს მაინც განხორციელებს, აღნიშნული მედიაციის პროცესის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად რჩება.

წინამდებარე ანგარიშში ერთი მხრივ აღწერილია ის გარემოებები, რომელიც ვერ მოხვდა ენერგეტიკული გაერთიანების მიერ მომზადებულ ანგარიშში. ისინი სოციალური სამართლიანობის ცენტრის საქმიანობის მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა აღნიშნულ პროცესში და ვერ გასაჯაროვდა მედიაციის მსვლელობის ექვსი თვის მანძილზე იმ მიზეზით, რომ მოლაპარაკების პროცესი არ დაზიანებულა. მეორე მხრივ წინამდებარე ანგარიში გვთავაზობს ენერგეტიკული გაერთიანების მიერ წარმოდგენილ [ანგარიშში](#) საკვანძო საკითხების შესახებ გაკეთებული დასკვნების ხელახლა გააზრებას და მათ გავრცობას სოციალური სამართლიანობის ცენტრის პერსპექტივიდან.

ძირითადი ინფორმაცია კონტექსტის შესახებ

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2021 წლის 12 ივნისს მედიაციის დაწყებისას ნამახვანი ჰესის პროექტის წინააღმდეგ მობილიზებული მოსახლეობის პროტესტი უკვე 7 თვეს ითვლიდა. ხეობაში არაერთხელ დაფიქსირდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის, საპოლიციო ძალის დაუსაბუთებელი და არაპროპორციულ გამოყენების ფაქტები, ისევე როგორც გადაადგილების თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ასევე ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან სამგზის ჩამოვლილ დიალოგს და მოლაპარაკებას.

2021 წლის 14 აპრილს, პირველად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა დააფიქსირა საპატრიარქოს [პოზიცია](#)⁴, იგი განამარტავდა, რომ „ნამახვანჰესის“ საკითხზე მედიატორის როლის შესრულება საპატრიარქოს შეეძლო. დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე იუწყებოდა, რომ ის იმუშავებდა „ორივე მხარესთან, რომ არ მომხდარიყო რადიკალიზაცია და დარჩენილიყო სივრცე დიალოგისთვის“.

⁴ დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე - „ნამახვანჰესის“ საკითხზე ვიქნებით მედიატორი, ვმუშაობთ ორივე მხარესთან, რომ არ მოხდეს რადიკალიზაცია და დარჩეს სივრცე დიალოგისთვის, 14 აპრილი 2021, საზოგადოებრივი მაუწყებელი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://1tv.ge/news/dekanozi-andria-jaghmaidze-namakhvanhesis-sakitkhze-viqnebit-mediatori-vmushaobt-orive-mkharestan-rom-ar-mokhdes-radikalizaciada-darches-sivrc-dialogistvis/>

2021 წლის 20 აპრილს გავრცელდა [ინფორმაცია](#)⁵, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით იქმნებოდა „ექსპერტთა საბჭო“, რომელსაც ნამახვან ჰესის საკამათო პროექტთან დაკავშირებით ჩატარებული ყველა კვლევის შეფასების შესაძლებლობა მიეცემოდა. აღნიშნული, სამინისტროების პერპექტივიდან, პროტესტის საპასუხოდ გაკეთდა და ხეობაში ვითარების დეესკალაციას ისახავდა მიზნად. პირველად ამ ეტაპზე პროტესტს გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელმაც 9 ივნისს [განაცხადა](#)⁶, რომ ინვესტორი კომპანიისთვის რიონის ხეობაში მიწის 99 წლით გადაცემის პირობები მიუღებელი იყო და შეცვლას საჭიროებდა. მოგვიანებით კი, [11 ივნისს](#)⁷, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ საკუთარ გამოსვლაში აღიარა, რომ პროტესტი „ნამახვანჰესის“ გარშემო იყო „სერიოზული“ და რომ მთავრობას გაცილებით მეტი კომუნიკაცია და მოსახლეობის მოსაზრებების გათვალისწინება მართებდა. მინისტრის აღიარებაში ასევე ნახსენები იყო დაშვებული შეცდომის გამოსწორების საჭიროება:

„ჩვენ აქამდე არ გვქონია ასეთი მსხვილი ენერგეტიკული ობიექტის განხორციელების გამოცდილება, უკვე რამდენი ათწლეულია ასეთი დიდი ობიექტი არ აშენებულა. აქედან გამომდინარე, ჩვენც ვსწავლობთ გზადაგზა, როგორ შეიძლება დაიხვეწოს კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვახორციელებთ ახლა მოლაპარაკებებს ინვესტორთან“.

ენერგეტიკული გაერთიანების მიერ მედიაციის შემაჯამებელ ანგარიშში გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ პირველი წერილი და მოთხოვნა, როგორც მედიაციის ჩატარების, ისე, ამის საჭიროების შემთხვევაში, პროექტის შესახებ დამოუკიდებელი შეფასებების მომზადების ორგანიზებაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოში დავების გადაწყვეტისა და მოლაპარაკების ცენტრის ხელმძღვანელ ბატონ დირკ ბუმლესთან **2021 წლის 26 აპრილს** გაიგზავნა. წერილში მინისტრი ხსნიდა, რომ *დეკარბონიზაციისა და კლიმატური ცვლილებებით* წარმოჩენილ გამოწვევებთან გამკლავებისთვის საქართველოს მთავრობა ქვეყანაში განახლებადი ენერჯის განვითარებას მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. მინისტრი იქვე უთითებდა, რომ ქვეყნის ინტერესი იყო განახლებადი ენერჯის წყაროებზე მუშაობა განხორციელებულიყო ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად და გარემოს დაცვის, უსაფრთხოების, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის უმაღლესი სტანდარტის დაცვით. *„როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, [საქართველოშიც] გარკვეული მნიშვნელობის განახლებადი ენერჯის პროექტები განსაკუთრებული დაკვირვების საგანი ხდება ხოლმე*

⁵ *ექსპერტთა საბჭო „უკეთესი ნამახვანისთვის“: რას ელოან სახელმწიფო და კრიტიკოსები*, 20 აპრილი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/535988/?fbclid=IwAR2Zd-517c2I-KJBICAtR5HxRIOGjn6tfQT3s3LpcT5mtSgaWqcsxj-GbU4>

⁶ *„ნამახვანი“ აშენდება, თუმცა, არა მიწის 99 წლით გადაცემის პირობით — თურნავა და ღარიბაშვილი*, 9 ივნისი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/547278/>

⁷ *12 ივნისიდან იწყება მედიაციის პროცესი „ნამახვანჰესზე“ – თურნავა*, 11 ივნისი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/547889/>

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან - წერს მინისტრი და ნამახვანი ჰესის პროექტის წინააღმდეგ გაჩენილი საზოგადოებრივი მოძრაობის შესახებ მიაწვინებს, რომ ის განახლებადი ენერჯის წინააღმდეგ გაჩენილი პროტესტია, რომლის მსგავსიც მრავლად არის ევროპის ქვეყნებში, თუმცა გაურკვეველია, რატომ მიეცა ამ თუ სხვა ევროპის ქვეყნების პროტესტს ეს ინტერპრეტაცია. ამავე წერილში მინისტრი აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობას პროექტის გადახედვა ჰქონდა დაწყებული, ხოლო მხარეებთან კი დიალოგი; მათ შორის, როგორც კომპანია „ენკასთან“, ისე ადგილობრივ თუ ეროვნულ სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

2021 წლის 28 მაისს ბატონი ბუმლეს საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ **26 აპრილის კომუნიკაციისა და 28 მაისის** კვირაში სამინისტროსთან განხორციელებული ზარის შესაბამისად, ის პასუხისმგებლობას იღებდა ორ პარალელურ პროცესზე: რომელთაგან ერთ-ერთი გულისხმობდა პროექტზე იმ დროისთვის არსებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ შეფასების მომზადებას. მეორე მხრივ, ბატონი ბუმლე მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ პირებს ექვსთვიანი მედიაციის პროცესის დაწყებას აუწყებდა. აღნიშნულ წერილში ბატონი ბუმლე ორივე პროცესის ექვს თვეში, ყველაზე გვიან 2021 წლის ოქტომბერში, დასრულებას გეგმავდა. 28 მაისის წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მედიატორმა კომუნიკაცია დაამყარა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რიონის ხეობის მცველებთან, ასევე გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სამინისტროებში მინისტრის მოადგილეებთან. მედიატორი აღნიშნავდა, რომ კომპანია „ენკასთან“ შეხვედრა ვერ შედგა, თუმცა იმედს გამოთქვამდა, რომ იმავე კვირაში, „ენკასა“ და მთავრობას შორის გამართული შეხვედრის შემდეგ, ექნებოდა „ენკასთან“ შეხვედრის შესაძლებლობა. დაბოლოს, 28 მაისის წერილში ბატონი ბუმლე აღნიშნავდა, რომ ორივე მხარესთან, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ მისთვის ცხადი იყო, რომ მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად და რეალური გამოსავლების ძიებაზე ორიენტირებული დისკუსიის დასაწყებად მნიშვნელოვანი იქნებოდა შეთანხმება მოხერხებულიყო, **პირველ რიგში**, ორ მთავარ საკითხზე: მედიაციის პროცესის პარალელურად (1) ნამახვანი ჰესის პროექტის მშენებლობის შეჩერების საკითხსა და (2) რიონის ხეობაში თავისუფალი გადაადგილების აღდგენისა და სიტუაციის დეესკალაციაზე.

მედიაციის მხარეები

მედიაციის მხარეებად მოწვეულნი იყვნენ, ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მეორე მხრივ კი რიონის ხეობის მცველები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მწვანე ალტერნატივა, დედამიწის მეგობრები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კოლექტივი სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის, მწვანეები. მედიაციაში მოწვეული მესამე მხარე გახლდათ კომპანია „ენკა“, რომელიც არ გამოცხადდა და მედიაციაში მონაწილეობა არ მიიღო. მედიაციის შეხვედრებს მონაწილეების გარდა ესწრებოდნენ დამკვირვებლებიც - სახალხო დამცველისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თავდაპირველად დამკვირვებლის სტატუსი ჰქონდათ ადგილობრივ ორგანიზაციებს „საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციას“ (GREDA) და ორგანიზაციას „საერთაშორისო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG), თუმცა ეს ორი ორგანიზაცია მედიაციის პროცესს ადრეულ ეტაპზევე გამოეთიშა. ეს უკანასკნელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით, დამკვირვებლის ნაცვლად, მხარის, პოზიციიდან საუბრობდნენ საზოგადოებრივი დისკუსიების დროს, რაც დადასტურდა მედიაციის შეხვედრების მიმდინარეობის დროსაც. შეხვედრის მონაწილეთა შეფასება, რომ ისინი დამოუკიდებელი დამკვირვებლის სტატუსით ვერ გააგრძელებდნენ მედიაციაში მონაწილეობას, სრულად გაიზიარა მედიატორმა, რის საფუძველზეც მათ მედიატორის მხრიდან მედიაციის ამ პროცესის დატოვება ეთხოვათ.

მედიაციის დაწყებისას ყველა მხარე ადასტურებდა მოლაპარაკების სურვილს და მზაობას ღიად განეხილათ, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური საკითხები.

მედიაციის ფარგლები და მთავარი შეზღუდვები

ენერგეტიკული გაერთიანების მიერ ორგანიზებული მოცემული მედიაციის პროცესი არ წარმოადგენდა მყარი სტრუქტურისა და ტრადიციული ფორმატის მქონე მედიაციას (ის არ იმართებოდა, კერძო სუბიექტებსა თუ სახელმწიფოებს შორის, და მის მხარეს წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები), შეხვედრების მსვლელობისას გამოიკვეთა არაერთი ტექნიკური და პოლიტიკური შინაარსის პრობლემა, რაც დასახული ამოცანების მიღწევისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცა.

მაგალითისათვის, მედიაციის შეხვედრები ინიშნებოდა თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფის გარეშე. დამატებით, მედიაციის პროცესის მონაწილეებს Chatham House⁸ წესების დაცვა ეთხოვათ, რაც მედიაციის პროცესის მსვლელობისას მის დისკუსიებში გაჟღერებული ინფორმაციის შესახებ წყაროს დასახელება უნდა შეეზღუდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, მედიაციის მსვლელობისას როგორც GREDA-სა და WEG-ის მიერ, ისე მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან სხვადასხვა საშუალებით მედიაში და სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ინფორმაცია მედიაციის დახურული შინაარსების შესახებაც. არაერთ ეტაპზე კი რიონის ხეობის მცველებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უარი ეთქვათ მედიაციის ფორმატისთვის ღიაობის და მეტი საჯაროობის უზრუნველყოფაზე იმის გასაშუქებლად, რომ მედიაციის მსვლელობისას არაერთხელ გადავადდა და/ან შეიცვალა სხვადასხვა ეტაპზე მიღწეული შეთანხმებები. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2021 წლის სექტემბერში რიონის ხეობის მცველებმა მედიაცია დატოვეს, თუმცა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ პროცესში მონაწილეობა არცერთ ეტაპზე არ შეუწყვეტიათ, რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ წინამდებარე ანგარიშში სრულად აღიწეროს მედიაციის პროცესის მიღწევები და გამოწვევები.

დაბოლოს, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2021 წლის 12 ივნისის გარდა, როდესაც მედიატორი მოკლე ვიზიტით თბილისში იმყოფებოდა, მედიატორის მხრიდან არცერთი საჯარო განმარტება/განცხადება არ გაკეთებულა მედიაციის მსვლელობისა თუ მისი დასრულების შესახებ, მეტიც, ენერგოგაერთიანების შემაჯამებელი ანგარიში ამ დრომდე არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე, იმისთვის, რომ ექვსთვიანი პროცესის შეჯამებით ამ მედიაციას ის საჯარო ინტერესი დაეკმაყოფილებინა, რამაც თავად მისი ორგანიზების საჭიროება გააჩინა.

რა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ითხოვდა სამოქალაქო საზოგადოება მედიაციის პროცესის დაწყებამდე?

ამ ანგარიშის მიზანია, საზოგადოებას განუმარტოს მედიაციის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან წარდგენილი პოზიციები და მოთხოვნები, რომელთა შესრულება და დაკმაყოფილება, სამწუხაროდ, ბოლომდე შეუძლებელი აღმოჩნდა. პირველ რიგში კი ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ პროცესში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და რიონის ხეობის მცველები მედიაციის დაწყების წინაპირობად ორი მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხს აყენებდნენ. ესენია:

- მედიაციის განმავლობაში ნამახვანი ჰესის პროექტის სამშენებლო სამუშაოების დროებითი შეჩერება

⁸ Chatham House Rule - აღნიშნავს შეხვედრის შესახებ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც შეხვედრის მონაწილეებს უფლება აქვთ დახურული შეხვედრის მიმდინარეობისას მისი შინაარსი გაავრცელონ, მხოლოდ იმ დათქმით, რომ მის წყაროს/ავტორს არ დაასახელებენ. აღნიშნული წესის მიზანია მეტი ღიაობა წახალისოს დისკუსიის მსვლელობისას.

- ხეობაში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის მოხსნა, პროტესტის უფლების აღდგენა და სხვა რეპრესიული თუ უკანონო ზომების გაუქმება

როგორც ზემოთ მოყვანილ კორესპონდენციაშიც ჩანს, აღნიშნული წინაპირობების შესახებ ეკონომიკის სამინისტროსთან გაგზავნილ წერილში თავად დირკ ბუშლევ მიუთითებს. იგი წერს, რომ „ნდობისა და მხარებისთვის მისაღებ გამოსავალზე ორიენტირებული დისკუსიისთვის საჭირო ატმოსფეროს შესაქმნელად ორ საკითხზე მუშაობა იქნებოდა პრიორიტეტული: (1) მედიაციის მიმდინარეობის პარალელურად ნამახვანი ჰესის პროექტის მშენებლობის შეჩერება და (2) სიტუაცია რიონის ხეობაში“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მედიაციის წინაპირობების შესახებ საკუთარი მოთხოვნების წამოყენებისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა როლი იქნებოდათ მათ ნამახვანი ჰესის პროექტისთვის, მესამე მხარის მიერ დამოუკიდებელი შეფასებების ორგანიზებისას.

2021 წლის 12 ივნისს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოში დავების გადაწყვეტისა და მოლაპარკების ცენტრის ხელმძღვანელ დირკ ბუშლევსა და ამავე სამდივნოში გარემოს დაცვის ექსპერტის ალექსანდრა ბუხაროსკას ორგანიზებით ნატახტარში მხარეებს შორის გამართული პირველი შეხვედრის შედეგად [განისაზღვრა](#)⁹, რომ (1) რიონის ხეობაში მდგომარეობის „დეესკალაცია“ მედიაციის პირველ ამოცანად იქცა და მის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული ორი წინაპირობა უნდა განხილულიყო. პარალელურად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნით ისინი ჩართული უნდა ყოფილიყვნენ; (2) გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტისა და ნამახვანი ჰესის პროექტზე გაფორმებული ხელშეკრულების შეფასების ორგანიზებისას დამოუკიდებელი ექსპერტებისთვის ტექნიკური დავალების შემუშავების პროცესში; (3) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მედიაციის დასასრულს მთავრობის მიერ მრავალჯონის დაპირებული და დამუშავების პროცესში არსებული ენერგოპოლიტიკის დასრულებული დოკუმენტი უნდა ეხილა.

მდგომარეობის „დეესკალაცია“, პროექტის ხელახალი შეფასება და ენერგოპოლიტიკის დოკუმენტის შესახებ მსჯელობა შეადგენდა მედიაციის იმ სამ ნაკადს, რომლებზეც მხარეები 6 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. ეს ანგარიში მხოლოდ პირველ და მეორე ნაკადებს ეხება, რადგან მესამე ნაკადზე მუშაობა (ენერგოპოლიტიკის დოკუმენტის მომზადება და მასზე მსჯელობა) ჯერაც არ დასრულებულა.

⁹ The Namakhvani mediation – follow-up on Saturday’s meeting, 15 ივნისი 2021, Energy Community. Last seen 23.12.2021 <https://energy-community.org/news/Energy-Community-News/2021/06/15.html>

ანგარიში

I. მშენებლობის შეჩერების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა

მედიაციის პროცესის დაწყებამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცხადებული მთავარი მოთხოვნა იყო ნამახვანი ჰესის პროექტზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტა პროექტის დაუსაბუთებლობისა და მისი დარღვევებით მიმდინარეობის გამო და ხეობაში დაწესებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის მოხსნა, რაც თავისთავად სოფელ ნამახვანისა და ჟონეთის მიმდებარედ პროტესტის უფლების აღდგენასაც გულისხმობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე მედიაციის პირველი პრიორიტეტი, როგორც ეს დირე ბუშლეს მხრიდან სამინისტროში 2021 წლის 28 მაისს გაგზავნილი წერილიდანაც იკვეთება, სწორედ სამუშაოების დროებითი შეჩერება იყო მანამ, სანამ მხარეები მედიაციაზე გადავიდოდნენ და იმ ვადით, რა ვადითაც ენერგეტიკული გაერთიანების მიერ დამოუკიდებელი შეფასებების მომზადების საკითხი გახანგრძლივდებოდა.

მედიაციის პირველივე შეხვედრაზე, 12 ივნისს, ნატახტარში, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების პოზიციიდან იკვეთებოდა, რომ სამშენებლო სამუშაოების დროებითი შეჩერების მოთხოვნის დაკმაყოფილება მათ ინტერესში არ შედიოდა. სახელმწიფოს წარმომადგენლები პროექტის დროებითი შეჩერების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პროექტის განმახორციელებლის მხრიდან საარბიტრაჟო დავას პროგნოზირებდნენ და ამ ვარაუდის შესახებ შესაბამისი სამხილების წარმოდგენის გარეშე, უკუაგდებდნენ მთავარ მოთხოვნას სამშენებლო სამუშაოების შეჩერებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, თავად კომპანია „ენკას“ უარმა პროცესში მონაწილეობაზე, თავისთავად, ძლიერ დააზარალა მედიაციის ეს პროცესი. აღნიშნული ფორმატის შეხვედრებისთვის მნიშვნელოვანი იყო კომპანია „ენკას“ თავად განემარტა საკუთარი პროექტის მდგრადობის, სარგებლიანობისა და დასაბუთებულობის შესახებ, რაზეც ის ინტენსიურად აქცენტირებდა საჯაროდ, თუმცა ეს პირობა არცერთხელ არ შეასრულა მოცემულ სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის ყველა საშუალება მიეცა. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ კომპანია „ენკა“ არ მონაწილეობდა აღნიშნულ შეხვედრებში, თავისთავად ასუსტებდა მედიაციის შესაძლებლობებს, რათა პროექტის შეჩერების შესახებ მედიას პირდაპირი ზეწოლა მოეხდინა თავად კომპანიაზე. სამწუხაროდ, საბოლოო ჯამში მთავრობის წარმომადგენლების ძალისხმევით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ მიეცათ საშუალება მედიაციის შეხვედრებიდან რომელიმე ერთი შეხვედრა დათმობოდა კონკრეტულად პროექტის დროებითი შეჩერების საფუძვლებისა და შესაძლებლობების განხილვას. მიუხედავად 12 ივნისს, ნატახტარში პირველი შეხვედრის შეთანხმებისა, რომ მედიაციის მომდევნო შეხვედრა

ნამახვან ჰესის პროექტის პრობლემებსა და მის გარშემო არსებულ კანონდარღვევებზე საუბარს მიეძღვნებოდა, რათა პროექტის შეჩერება მედიაციის ფორმატში განხილულიყო, სამწუხაროდ, აღნიშნული შინაარსის შეხვედრის ჩანიშვნა 6 თვის მანძილზე ერთხელაც ვერ მოხერხდა.

მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ორგანიზაციებს ჩვენ მიერ შეგროვებული მტკიცებულებების წარდგენაზე უარი გვეთქვა (იხილეთ დანართი 1), ასევე განგვემარტა, რომ ნამახვან ჰესის მიმდინარე მშენებლობის შეწყვეტაზე საუბრის შესაძლებლობა მხოლოდ საერთაშორისო, დამოუკიდებელი ექსპერტიზის საფუძველზე შეიძლება გაჩენილიყო. მედიატორთა შემოთავაზებით მშენებლობის შეჩერების საკითხი აგვისტო-სექტემბრის თვემდე გადაიდებოდა მანამ, სანამ ენერჯო გაერთიანების მიერ მომზადდებოდა პირველადი შეფასებები ნამახვან ჰესის პროექტის შესახებ, ე.წ. „წითელი ალმების“ ანგარიში, და ვიდრე მესამე მხარის მიერ მომზადებული ამ ე.წ. „წითელი ალმების“ ანგარიშით დასაბუთდებოდა ნამახვან ჰესის პროექტის დროებითი შეჩერების საჭიროება.

ამავე პერიოდში, პროექტის შეჩერებისთვის, მედიატორისთვის ერთადერთ შესაძლო მამხილებელ არგუმენტად გარემოსდაცვითი ინსპექციისა და ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მომზადებული სახელმწიფო ინსპექციის შედეგების გასაჯაროება სახელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღნიშნული ინსტიტუტების სისუსტეებზე ვსაუბრობდით, ვაცხადებდით მათდამი უნდობლობას, და მეტიც, ვამხედდით, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს, ისე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეუწყებას, ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, კომპანია „ენკა“-სადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში, სამწუხაროდ, ინსპექტირების ოქმების დალოდება მედიაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად განისაზღვრა. აღნიშნულს საზოგადოებრივი ორგანიზაციები მართებულ გადაწყვეტილებად არ მიიჩნევდნენ, თუმცა მედიატორის ეს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიონის ხეობის მცველების მოთხოვნას ინსპექტირების შესახებ თვეების განმავლობაში რეაგირების გარეშე ტოვებდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექცია იმ საბაბით, რომ რეგიონალურ თანამშრომლებს შორის გავრცელებული იყო კოვიდ-ინფექცია. აღნიშნულმა განაპირობა, რომ მედიაციის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვდნენ, ორგანიზებულიყო ნამახვან ჰესის საპოლიციო ბლოკპოსტებს მიღმა დარჩენილი სამშენებლო არელების ერთობლივი ინსპექტირება, ექსპერტებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ. სამწუხაროდ, აღნიშნული იდეის განხორციელებაზე უარი ითქვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან.

მედიაციის მსვლელობისას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი იყო სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირების შესახებ იგივე დოკუმენტაცია, რაც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ მედიაციის დაწყებამდე. შესაბამისად, მედიაციის დასაწყისში

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაგვიზიარეს მხოლოდ წარსულში (2020 წლის შემოდგომასა და 2021 წლის 25 მარტს), 3 აპრილს ხეობის ბლოკირებამდე განხორციელებული ინსპექტირების შედეგები, რომელიც მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რომ ხეობაში სამართალდარღვევები არ ფიქსირდებოდა, და რომელიც ინსპექტირების ოქმების გარეშე ზიარდებოდა.

მედიაციის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაჟინებული მოთხოვნის პასუხად განხორციელებულიყო დამატებითი ინსპექტირებები ხეობაში (2021 წლის 3 აპრილს მისი ჩაკეტვისა და ინტენსიური სამშენებლო სამუშაოების განახლების გამო) და გაზიარებულიყო ყველა ინსპექტირების ოქმი, შემდეგნაირად უპასუხა ეკონომიკის სამინისტრომ: ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ 2021 წლის ივლისში განმეორებითი ინსპექცია ჩაატარა ხეობაში, თუმცა სანებართვო პირობების დარღვევა აქაც არ დაუდგენია, ინსპექციის ოქმის შინაარსი კი კვლავ უცნობი დარჩა.

რაც შეეხება, გარემოსდაცვით ინსპექციას, აქ მყისიერი ინსპექტირების საჭიროებას ასევე ადასტურებდა 2021 წლის იანვრის ინსპექტირების შედეგები, როდესაც კომპანიას დარღვევები დაუდგინდა და ის სასამართლომ 2021 წლის მაისში დააჯარიმა. აქაც, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვნად მივიჩნევდით კომპანიის რეინსპექტირებას, იმისთვის, რომ სამართალდარღვევების აღმოფხვრის შესახებ მეტი ინფორმაცია ჰქონოდა საზოგადოებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით, რეინსპექტირების შეფერხების მიზეზი კოვიდ-პანდემია და კოვიდ-19-ით ინსპექციის თანამშრომლების მასიური ინფიცირება იყო; ინფექციურ დავადებასთან გამკლავების შემდეგ, გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით ხეობის ინსპექტირება ასევე ივლისისა და აგვისტოს თვეში განხორციელდა, თუმცა მისი შედეგები კვლავ უცნობია.

II. სახელმწიფო რეპრესიისგან დაუცველობა: პროტესტის მონაწილეთა უფლებების აღდგენის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები

მედიაციის დაწყებას წინ უძღოდა სოციალური მოძრაობისა და სამოქალაქო პროტესტის მონაწილეთა დაკავებების სერია, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მედიაციის დაწყებამდეც და მისი მსვლელობის დროსაც ფასდებოდა, როგორც მიზანმიმართული რეპრესიისა და ხელისუფლების მხრიდან ხეობაში ერთი მხრივ ვითარების

ხელოვნურად [ესკალირების](#)¹⁰, მეორე მხრივ კი მოძრაობის ორგანიზატორთა [დისკრედიტირების](#)¹¹ მცდელობები (იხ. დანართი 2). აღნიშნულმა წარმოშვა მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ხეობაში ვითარების დეესკალაციისთვის სახელმწიფოს უარი უნდა ეთქვა რეპრესიულ ღონისძიებებზე, მოეხსნა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა სოფელ ნამოხვანისა და ჟონეთის მიმართულებით, აღედგინა რიონის ხეობის მცველებისა და მათი მხარდამჭერებისთვის პროტესტის უფლება (მიეცა მათთვის საშუალება საპროტესტო კარავი განეთავსებინათ იქ, სადაც მისი საწყისი ადგილმდებარეობა იყო) და შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა დაკავებული პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის მარტში მთავრობასა და მოსახლეობას შორის დიალოგის წარუმატებელმა მცდელობებმა გაზარდა პროტესტი ნამახვანი ჰესის პროექტის გარშემო, თუმცა ის ყოველთვის ინარჩუნებდა გამოხატვის მშვიდობიან ფორმას. 2021 წლის მარტში გაკეთებულმა [განცხადებებმა](#)¹² ერთ-ერთი სამშენებლო ობიექტის, კაშხლის, სამშენებლო სამუშაოების დროებითი შეჩერების შესახებ, ასევე გააჩინა მოლოდინი, რომ სამთავრობო გადაწყვეტილებები „ენკა“-სთან მოლაპარაკებისკენ იქნებოდა მიმართული (მიუხედავად იმისა, რომ კაშხლის ობიექტის მშენებლობის ნებართვას კომპანია „ენკა“ იმ ეტაპისთვის ჯერაც არ ფლობდა და დაპირებას საზოგადოების სიცრუეში შეყვანის მცდელობა ჰქონდა), ნაცვლად რეპრესიისა პროტესტის მონაწილეთა მიმართ. თუმცა, ენერგეტიკული გაერთიანების მიერ 12 ივნისს ნატახტარში ჩატარებულ პირველ შეხვედრამდე ხეობაში ვითარება მკვეთრად იყო ესკალირებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილი ჰქონდა რიონის ხეობის მცველებისთვის პროტესტის უფლების დაუსაბუთებელ და უკანონო შეზღუდვას, ხეობაში გადაადგილების თავისუფლების ასევე დაუსაბუთებელ და უკანონო შეზღუდვას, რამდენიმე მშვიდობიანი დემონსტრანტის უსაფუძვლო დაკავებას, პროტესტის მონაწილეთა მადისკრედიტირებელ დეზინფორმაციულ კამპანიას და ა.შ. (იხ. დანართი 2).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რიონის ხეობის მცველების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას და მედიაციის დაწყებისთვის ერთ-ერთ წინაპირობას მოძრაობის მშვიდობიან მხარდამჭერთა მიმართ სამართალდამცავი სისტემების მხრიდან განხორციელებული დევნის შეწყვეტა,

¹⁰ საზოგადოებრივი ორგანიზაციები რიონის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურებიან, 12 აპრილი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021
<https://socialjustice.org.ge/ka/products/sazogadoebrivi-organizatsiebi-rionis-kheobashi-mimdinare-movlenebs-ekhmaurebian>

¹¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი უერთდება 23 მაისს “რიონის ხეობის მცველების” აქციას, 22 მაისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021
<https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-uertdeba-23-maiss-rionis-kheobis-mtsvelebis-aktsias>

¹² ნათია თურნავა - „ნამახვანჰესის“ პროექტი გაგრძელდება, მაგრამ კაშხალი არ აშენდება მანამდე, ვიდრე არ მოხდება კვლევების გადამოწმება, 30 მარტი 2021, ინტერპრესნიუსი. ბოლო ნახვა 23.12.2021
<https://www.interpressnews.ge/ka/article/649021-natia-turnava-namaxvanhesis-proekti-gagrzeldeba-magram-kashxali-ar-ashendeba-manamde-vidre-ar-moxdeba-kvlevebis-gadamocmeba/>

ხეობაში გადაადგილების თავისუფლების და პროტესტის საწყის ტერიტორიაზე დაბრუნებით (სოფელ ნამოხვანში) მათი პროტესტის უფლების აღდგენა წარმოადგენდა. მოთხოვნას დაკავებულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საფუძვლად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ადგილობრივი ოფისის უფლებადამცველების მხრიდან მოწოდებული პროფესიული მოსაზრებებიც ამყარებდა.

სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საქართველოს მოქალაქეთათვის მათთვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების უპირობოდ აღდგენის ნაცვლად, საკუთარი პირობების წამოყენება გადაწყვიტეს. სახელმწიფოს მხრიდან წამოყენებული შემხვედრი პირობები სრულად უგულებელყოფდა რიონის ხეობაში სამშენებლო სამუშაოების შეჩერების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მედიაციის პროცესში ერთადერთ საკუთარ ამოცანად კომპანიისთვის სამუშაოების შეუფერხებელი მსვლელობის გარანტირებას ისახავდა. სახელმწიფოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც ხეობაში გადაადგილების თავისუფლების სრული აღდგენა (ეს მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ [დაკმაყოფილდა](#)¹³ 17 ივნისს), ისე პროტესტის დისლოცირების ადგილის დაბრუნება საწყის ტერიტორიაზე თუ მის მიმდებარედ სოფელ ნამოხვანში. პირველის შემთხვევაში, მედიაციის პროცესში, პირობის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად სახელდებოდა სახელმწიფო უწყებების მხრიდან, ის რომ გადაადგილების თავისუფლების აღდგენით პროექტის გაგრძელებას კვლავ საფრთხე დაემუქრებოდა, მაშინ როდესაც სახელმწიფო საკუთარ მთავარ პრიორიტეტად მშენებლობის უწყვეტობას მიიჩნევდა. მეორე საკითხის პირობის შეუსრულებლობის მიზეზს კი ის წარმოადგენდა, რომ ხეობის ვრცელი ტერიტორიები უკვე გასხვისებული იყო და „ენკას“ კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. სახელმწიფო უწყებების მცდელობა, რომ რიონის ხეობის მცველები, „ენკას“ მიერ მათთვის, მედიაციის მსვლელობის პერიოდში, დროებით დათმობილ ტერიტორიაზე დაებრუნებინათ, წარუმატებლად დასრულდა, რადგან აღნიშნული შემოთავაზება არ გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკუთარი უფლებრივი გარანტიების სრულად აღდგენას და შეზღუდული იყო იმ პირობითობით, რომ ტერიტორია მხოლოდ 4-6 თვით ეთმობოდათ მცველებს მედიაციის მიზნებიდან გამომდინარე. საბოლოოდ, მედიაციის ერთ-ერთ მიღწევად დასახელდა პოლიციაზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებული რიონის ხეობის მცველთა ორი მხარდამჭერის, ირაკლი მუკბანიანისა და დავით ხუციშვილის, [განთავისუფლება](#)¹⁴ 21 ივლისს 3-3-ათას ლარიანი გირაოს საფუძველზე, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება არ გაუკეთებია არც პროკურატურას და არც სამინისტროებს, რომელთა აქტიურობასაც უკავშირდებოდა, სავარაუდოდ, მოვლენათა ამგვარი განვითარება. როგორც მედიაციის წევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, ისე ფართო

¹³ *გუმათში ჯებირი აიღეს, პოლიცია რჩება - სახელმწიფო რწმუნებული*, 17 ივნისი 2021, რადიო თავისუფლება. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31312867.html>

¹⁴ *გუმათში აქციაზე დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს*, 21 ივლისი 2021, რადიო თავისუფლება. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31370121.html>

საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა ორი პირის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნის რეალური მიზეზები და ბრალის შემსუბუქების მოტივი. სამწუხაროდ, მედიაციის ეს ერთ-ერთი წინაპირობაც, ბრალის გაუქმების შესახებ, ასევე დაუკმაყოფილებელია, თუ ბრალის შემსუბუქებას ბრალის ნაწილობრივ დაკმაყოფილებად არ მივიჩნევთ.

19 და 21 ივლისს განვითარებული ამ პროცესების შედეგად, რიონის ხეობაში ვითარების დეესკალაციასთან დაკავშირებით ენერგოგაერთიანების მიერ ორგანიზებული შეხვედრები 30 ივლისს შეწყდა და იმგვარად დასრულდა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ მედიაციის პროცესში მსჯელობის არანაირი შესაძლებლობა არ მიეცათ. გამოქვეყნებულ შემაჯამებელ ანგარიშში ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ „ყველა დაკავებული განთავისუფლებულია (ორი მათგანი გირაოს საფუძველზე)“, მაგრამ გამოტოვებულია ინფორმაცია ყველა იმ შეფასების შესახებ, რაც სახელმწიფო უწყებების პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გაკეთდა ამ პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ომბუცმენის მხრიდან დაპირისპირების ხელოვნურად პროვოცირებისა და ესკალაციის შესახებ (იხ. დანართი 2).

რაც შეეხება ხეობაში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის საკითხს, მედიატორი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ პოლიციამ ხეობაში რკინის ჯებირი მოხსნა (ჯებირის დემონტაჟი მედიაციის დაწყებიდან ხუთ დღეში, 2021 წლის 17 ივნისი [განხორციელდა¹⁵](#)) და რომ „ხელშეწყობილ იქნა ხეობის მიმართულელებით გადაადგილება“. საგულისხმოა, მედიატორიც აღნიშნავს, რომ პოლიცია ხეობაში კონტროლს ინარჩუნებს „სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“, რაც რიონის ხეობის მცველების მიხედვით, ხეობაში გადაადგილების არსებითად თავისუფლების შეზღუდვის ტოლფასია. შეგახსენებთ, რომ პოლიციის გადაწყვეტილება გადაადგილების დაუსაბუთებელი შეზღუდვის შესახებ სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ სასამართლოშია გასაჩივრებული, მაგრამ მისი განმხილველი სხდომა ჯერაც არ ჩანიშნულა.

¹⁵ შსს სოფელ გუმათთან რკინის ჯებირების დემონტაჟის იწყებს, 17 ივნისი 2021, საზოგადოებრივი მაუწყებელი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://1tv.ge/news/shss-sofel-gumattan-rkinis-jebirebis-demontadjs-iwyeb/>

III. დამოუკიდებელი შეფასებების განხორციელების შესახებ წარმოქმნილი დაბრკოლებები

2021 წლის 30 ივლისს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პირველად გამოვაქვეყნეთ საჯარო [წერილი](#)¹⁶ მოლაპარაკებების პროცესთან დაკავშირებით, რომელშიც ვაცხადებდით, რომ მთავრობას ჯეროვნად და სრულყოფილად არ ჰქონდა შესრულებული არცერთი პირობა, რომელიც 12 ივნისს მის ვალდებულებად განისაზღვრა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვინარჩუნებდით პრინციპულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას უნდა შეეჩერებინა ხეობაში მიმდინარე სამუშაოები, რათა არ დაგვეშვა ხეობის ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეუქცევადი და გამოუსწორებადი დაზიანება, სანამ პროექტის დამოუკიდებელი შეფასებები არ განხორციელდებოდა.

თუმცა ამ ეტაპისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ მედიაცია სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას დამოუკიდებელი შეფასებების მომზადების პირველ ეტაპს (ე.წ. „წითელი ალმების“ ანგარიშის მომზადებას) დაუკავშირებდა, მანამდე კი მთავრობის პრიორიტეტი „ენკა“-სთვის სამშენებლო სამუშაოების დაუბროკვლებლად შესრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფა იქნებოდა. პარალელურად, უკვე არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ დაკმაყოფილდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოში, დროებით ღონისძიებად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შეჩერების მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი გახდა, რომ მოლაპარაკებების დროს ფოკუსი დამოუკიდებელი შეფასებების ორგანიზებაზე გადასულიყო. ივლისი-აგვისტოს პერიოდში მხარეების მონაწილეობით დასრულდა სამუშაო დავალებების (Terms of Reference, ToR) მომზადება, რომლითაც დამოუკიდებელი შეფასებების ორგანიზება ორი მთავარი მიმართულებით იქნებოდა შესაძლებელი:

- 1) **კომერციული ნაწილის ანალიზი (Commercial review):** ა) ნამახვანი ჰესის პროექტის შერჩევას განხორციელებული სატენდერო პროცესის შეფასება შესყიდვების საუკეთესო პრაქტიკის შუქზე ბ) ნამახვანი ჰესის პროექტის სახელშეკრულებო პირობების შეფასება რისკებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების კრილში გ) ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების სახელმწიფო დახმარების კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით

¹⁶ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნამახვანჰესთან დაკავშირებულ მოლაპარაკებების პროცესს ეხმიანებიან, 30 ივლისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/sazogadoebrivi-organizatsiebi-namakhvanhestan-dakavshirebul-molaparakebebis-protsess-ekhmianebian>

- 2) ნამახვანი ჰესის პროექტის გარემოსდაცვითი შეფასება, რომელიც იგულისხმებდა შემდეგი დოკუმენტების განხილვას: ა) 2015 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) გადაწყვეტილება ბ) ტვიში და ნამახვანი-ჟონეთის ჰესების სკრინინგის განაცხადისა და გადაწყვეტილება გ) მოდიფიცირებულ პროექტზე (ქვემო ნამახვანზე) სკოპინგის ანგარიში და სკოპინგის გადაწყვეტილება დ) 2020 წლის გზშ გადაწყვეტილება ე) პირობიანი სამშენებლო ნებართვა და სადერივაციო გვირაბის ნებართვა (გზშ-სთან მისი რელევანტურობის მიხედვით)

მხარეები თანმხედობდნენ აღნიშნული სამუშაო დავალების ყოველ ელემენტზე, რამდენადაც აზრთა სხვადასხვაობის ყველა შემთხვევა შეხვედრების გზით გადაილახა. თუმცა ივლისში მედიაციაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მედიატორისგან მოულოდნელად ეცნობათ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების ორგანიზებისთვის აუცილებელი იქნებოდა ფონდების მობილიზება და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩართულიყო. მედიატორების თქმით, ენერგოგაერთიანება მხოლოდ კომერციულ ანალიზს გასწევდა დამოუკიდებელი სახსრებითა და რესურსებით, ყველაფერი დანარჩენისთვის კი მხარეებს თანხის მოძიება უნდა დაეწყოთ.

მოცემულ პერიოდში უკვე არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იუსტიციის სამინისტროდან ნამახვანი ჰესის პროექტის ხელშეკრულების შესახებ კრიტიკულმა დასკვნამ [გაქონა](#)¹⁷. პარალელურად კი იუსტიციის სამინისტრო \$70,800-ის გადახდას [გეგმავდა](#)¹⁸ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ხელახალ შეფასებაში. 2021 წლის 3 ივნისს გავრცელებული განცხადებით აღნიშნული კრიტიკულად [შეაფასა](#)¹⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრმა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ:

„აღნიშნული გადაწყვეტილება მორიგია იმ ინიციატივებს შორის, რომლითაც ხელისუფლება პრობლემის აღიარებას თავს არიდებს და ილუზორული და ფრაგმენტული ინიციატივებით ცდილობს ხელშეკრულების შესახებ არსებული ძირითადი პრობლემების გადაფარვას, რაც არათუ საკითხის რეალურ გადაჭრაზე არაა ორიენტირებული, მეტიც, საბოლოოდ, არსებული კონფლიქტის გაჭიანურებას იწვევს“.

¹⁷ იუსტიციის სამინისტროს უარყოფითი და გასაიდუმლოებული დასკვნა „ნამახვანჰესის“ ხელშეკრულებაზე, 25 მაისი 2021, მთის ამბები. ბოლო ნახვა 23.12.2021

¹⁸ მთავრობა „ნამახვანის“ კონტრაქტის ხელახალ შეფასებაში \$70800-ის გადახდას გეგმავს, 29 ივნისი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/551155/>

¹⁹ ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების ხელახალ შეფასებაში საერთაშორისო იურიდიული კომპანიის ჩართვა პრობლემურია, 3 ივნისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/namakhvani-hesis-khelshekrulebis-khelakhal-shefasebashi-saertashoriso-iuridiuli-kompaniis-chartva-problemuria>

აღნიშნულის გამო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მედიატორს სთხოვდნენ საკუთარი შეფასება გამოექვეყნებინა იუსტიციის სამინისტროს ახალ დასკვნაზე (კომერციული ნაწილის ანალიზის ფარგლებში), რაზეც მედიატორმა თანმხობა განაცხადა. სამწუხაროდ, მედიაციის შემაჯამებელი ანგარიშში არაა გამოყოფილი იუსტიციის სამინისტროს მიერ მოსამზადებელი დოკუმენტის შეფასების შესახებ ხსენებული ვალდებულება, თუმცა ის სამუშაო დავალებაშია (ToR) აღნიშნული. 2021 წლის [13 სექტემბერს](#)²⁰ სოციალური სამართლიანობის ცენტრმა აღნიშნული შეფასების სახელმწიფო შესყიდვებიდან ე.წ. გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდვაც გააკრიტიკა და იუსტიციის სამინისტროსთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპანიის შერჩევასაც გამოეხმაურა. ამ ყოველივეს მიუხედავად, დღეს საზოგადოებისთვის არც იუსტიციის სამინისტროს ალტერნატიული დასკვნის შესახებაა ინფორმაცია ცნობილი და აღარც მისი კრიტიკულად შეფასების შესაძლებლობა რჩება ენერგო გაერთიანების დახმარებით.

პარალელურად, 2021 წლის ზაფხულში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა პირველად დავინახეთ იმის საშიშროებაც, რომ გარემოსდაცვითი ნაწილის შესახებ დამოუკიდებელი შეფასებების განხორციელებას შეიძლებოდა რეალური საფრთხე შექმნოდა იმის გამო, რომ მის დაფინანსებაზე მოულოდნელად უარი თქვა ენერგოგაერთიანებამ. შემდეგ კი ერთ-ერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც ამგვარი შეფასების საკუთარი სახსრებით ორგანიზება შეეძლო, საქართველოს მთავრობამ ნდობა არ გამოუცხადა და ის არ მოიწვია ამ პროცესში.

2021 წლის 30 ივლისს გავრცელებულ [განცხადებაში](#)²¹ მედიაციის მონაწილე ორგანიზაციები ვიუწყებოდით, რომ იმ ეტაპზე გარემოსდაცვითი შეფასების კვალიფიციური და მიუკერძოებელი შეფასებების შესასრულებლად ერთ-ერთ პრეტენდენტად განიხილებოდა გარემოსდაცვით სფეროში უდიდესი გამოცდილებისა და რეპუტაციის მქონე ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ინსტიტუცია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან. ჩვენს წერილში აღვნიშნავდით, რომ პროცესში ამ ორგანიზაციის ჩართულობა სრულად მისაღები იყო, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, ისე თავად ენერგოგაერთიანებისთვისაც. მიუხედავად ამისა, მთავრობის ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგად, რევიზიის პროცესიდან სრულად გამოირიცხა ეს ერთ-ერთი

²⁰ ნამახვანის ხელშეკრულების შესაფასებლად იუსტიციის სამინისტრომ მინისტრის მოადგილესთან დაკავშირებული კომპანია შეარჩია, 13 სექტემბერი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/amakhvanis-khelshekrulebis-shesafaseblad-iustitsiis-saministrom-ministris-moadgilestan-dakavshirebuli-kompania-sheircha>

²¹ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნამახვანჰესთან დაკავშირებულ მოლაპარაკებების პროცესს ეხმიანებიან, 30 ივლისი, 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/sazogadoebrivi-organizatsiebi-namakhvanhestan-dakavshirebul-molaparakebebis-protsess-ekhmianebian>

ყველაზე სანდო და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაცია. ციტატა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული წერილიდან:

„მივიჩნევთ, რომ აღნიშნული მოლაპარაკებების ფარგლებში სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ასეთი მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის ერთპიროვნულად და დაუსაბუთებლად „გამორიცხვა“ პროცესისადმი საზოგადოების ნდობას ასუსტებს და მხარეებს უთანასწორო პირობებში აყენებს. შესაბამისად, აუცილებელია, მთავრობის წარმომადგენლებმა უახლოეს მომავალში, საჯაროდ, წარმოადგინონ არგუმენტები, თუ რატოა ამ ევროპული ორგანიზაციის ჩართვა პროცესში მათთვის მიუღებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ექსპერტთა შერჩევის მომდევნო პროცესს, მის ვალიდურობასა და გამჭვირვალობასაც.“

აღნიშნულ განცხადებაში ხელმომწერი ორგანიზაციები დამოუკიდებელ ექსპერტთა შესარჩევი პროცესის უსამართლოდ წარმართვის შესახებ ვსაუბრობდით, თუმცა არ ვასახელებდით იმ ერთი ორგანიზაციის სახელს, რომელსაც საქართველოს მთავრობამ დაუსაბუთებლად და ფარულად, ყოველგვარი ღია განცხადების გარეშე, უნდობლობა გამოუცხადა. კომპანიის გულშემატკივარი გვერდებიდან სოციალურ ქსელში ვრცელდებოდა ინფორმაცია აღნიშნული ორგანიზაციის სახელის შესახებ და მეტიც, ამ საერთაშორისო ორგანიზაციას „რუსული რბილი ძალის“ გამტარად ასახელებდნენ, რაც თავისთავად არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მხოლოდ ამ ორგანიზაციის დისკრედიტაციას ემსახურებოდა და მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას..

საბოლოოდ, მედიატორთა შემოთავაზებით მხარეები შეთანხმდნენ იმ სანდო ორგანიზაციების/კომპანიების ნუსხაზე, ვისაც ორივე მხარე ანდობდა დამოუკიდებელი შეფასების მომზადებას. ასეთების დასახელების მიუხედავად, მთავარ გამოწვევად რჩებოდა დაფინანსების მოძიება.

საბოლოო ჯამში არასამთავრობო ორგანიზაციებს აცნობეს, მედიატორისა და ეკონომიკის სამინისტროს შემუშავებული ერთობლივი წინადადება იმის შესახებ, რომ გარემოსდაცვით შეფასებას ეკონომიკის სამინისტრო დააფინანსებდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღნიშნულის შესახებ გამარტივებული შესყიდვის ორგანიზების მოთხოვნით ეკონომიკის სამინისტროს უკვე მიმართვაც ჰქონდა გაგზავნილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე. იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამარტივებული შესყიდვის გზით დამოუკიდებელი შეფასების ორგანიზება მიუღებელი აღმოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, აღნიშნული პროცესი შეჩერდა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ითხოვნიდნენ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მხოლოდ პირველი მუხლის, მე-4 ქვეპუნქტის გამოყენებით მომხდარიყო დამოუკიდებელი შეფასებისთვის საჭირო მომსახურების შესყიდვა, რათა მხარეები დაცული ყოფილიყვნენ შესყიდვების საერთაშორისო სტანდარტით და შეფასებების სანდოობა სრულად ყოფილიყო გარანტირებული. ქვემოთ იხილეთ შესაბამისი ამონარიდი საქართველოს კანონიდან [სახელმწიფო შესყიდვების შესახებ](#)²²:

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი, მათი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების შესყიდვების პროცედურები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

აღნიშნულ ეტაპზე მედიაციაში მონაწილე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გვეცნობა, რომ გარემოსდაცვითი შეფასებისთვის საჭირო მომსახურების შესყიდვის თანხა „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ და არა ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან იქნებოდა გაღებული.

სწორედ ამ დროს გავრცელდა ინფორმაცია კომპანია „ენკას“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის შესახებ და მედიატორის ანგარიში, რომელიც დამოუკიდებელი შეფასებების ორგანიზებას დროებით შეჩერებულად აცხადებდა.

²² სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონი, 20 აპრილი 2005, საკანონმდებლო მაცნე. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=79>

IV. კომპანია „ენკას“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა და პროექტის შეფასების დაუკმაყოფილებელი ინტერესი

2021 წლის 22 სექტემბერს ქართულ [მედიაში](#)²³ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია „ენკამ“ 20 სექტემბერს გამოთქვა სურვილი ნამახვანი ჰესის პროექტზე დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ყურადსაღებია, რომ „ენკას“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ საკუთარი სურვილის დაფიქსირებიდან რამდენიმე კვირის შემდეგაც, 2021 წლის 15 ნოემბერს, ეკონომიკის მინისტრი [აცხადებდა](#)²⁴, რომ „ენკას“ პროექტიდან გასვლისა და მისი დარჩენის შესაძლებლობები თანაბარი იყო და რომ იმ ეტაპისთვის ჯერაც უცნობი გახლდათ „ენკას“ ხელშეკრულებიდან გასვლა საარბიტრაჟო დავით დასრულდებოდა თუ მორიგებით. მეტიც, ამ განცხადებიდან რამდენიმე თვის თავზეც, წინამდებარე ანგარიშის გამოქვეყნების ეტაპზეც, ნამახვანი ჰესის პროექტის ბედი ჯერაც გაურკვეველია.

2021 წლის 22 სექტემბერს სოციალური სამართლიანობის ცენტრის [გამოხმაურებაში](#)²⁵ აღნიშნული იყო, რომ ის ინარჩუნებდა ინტერესს ენერგოგაერთიანების მიერ ორგანიზებული მედიაციის ფორმატისადმი და იმედს გამოთქვამდა, აუცილებლად გაგრძელდებოდა, როგორც ნამახვანის ხელშეკრულების, ისე ნამახვან ჰესზე გაცემული დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების შეფასების პროცესი.

„ენკას“ განცხადებამდე, რამდენიმე დღით ადრე (16 სექტემბერს), სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ეკონომიკის სამინისტროში წარადგინა საჩივარი ნამახვანი ჰესის მშენებლობის შეჩერებისა და სამშენებლო ნებართვის გაუქმების [მოთხოვნით](#)²⁶. 22 სექტემბერს გაკეთებულ განცხადებაში ორგანიზაცია ხაზს უსვამდა, რომ ნამახვანის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც ინარჩუნებდა ინტერესს პროექტის გარშემო არსებული ყველა იმ სამართლებრივი ასპექტის შესახებ, სადაც სახელმწიფო უწყებების პასუხისმგებლობა იკვეთბოდა:

²³ რა ხდება ნამახვანჰესის კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ – 3 სცენარი, 22 სექტემბერი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/564641/>

²⁴ თანაბრად განიხილება პროექტის გაგრძელება და გასვლა – თურნავა ENKA-ზე, 15 ნოემბერი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/575916/>

²⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი ეხმაურება „ენკას“ განცხადებას ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, 22 სექტემბერი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentr-ekhmaureba-enkas-gantskhadebas-namakhvani-hesis-khelshekrulebis-shetsqvetsis-shesakheb>

²⁶ სოციალური სამართლიანობის ცენტრი ნამახვანი ჰესის მშენებლობის შეჩერებისა და სამშენებლო ნებართვის გაუქმების მოთხოვნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართავს, 16 სექტემბერი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/namakhvani-hesis-msheneblobis-nebartva-sasamartloshi-gavasachivret>

„...განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნება ყველა იმ სასამართლო დავის შედეგიც, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა წამოვიწყეთ სახელმწიფოს წინააღმდეგ, სახელმწიფო უწყებებში მიღებული დაუსაბუთებელი და უკანანო გადაწყვეტილებების გამო. ჩვენ და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები არ ვგეგმავთ მშენებლობის ნებართვისა და გზმ გადაწყვეტილების შესახებ სასამართლოში წარდგენილი სარჩელების გამოთხოვას. ასევე, ჩვენი ორგანიზაცია არ შეწყვეტს დავას დაფარული ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნით საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების წინააღმდეგ. პრობლემურად ნარჩუნდება ის საკითხიც, რომ მშენებლობის ინსპექტირებისას ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს რეაგირების გარეშე ჰქონდა დატოვებული „ენკას“ დარღვევები და არ აწარმოებდა ინსპექტირების ოქმებს, გარემოსდაცვითი ინსპექტირება კი ჭიანჭურდებოდა და იანვრის შემდეგ ჩატარებული რეინსპექტირების შედეგები დღემდე უცნობია“.

ამის შემდეგ, 28 ოქტომბერს ჩაინიშნა სასამართლო მოსმენა სოციალური სამართლიანობის ცენტრის ერთ-ერთი სასამართლო დავისა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს მიერ სავალდებულოდ მოსამზადებელი დასკვნის არგასაჯაროებას ეხებოდა. მოსმენამდე რამდენიმე დღით ადრე, 18 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტრომ გაავრცელა [წერილი](#)²⁷, რომლითაც სამინისტრო ნამახვანი ჰესის პროექტზე საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი დასკვნის არარსებობის ფაქტი აღიარა. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ფინანსთა სამინისტროს დასკვნის არარსებობა ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების გაფორმების კანონიერებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მნიშვნელოვან იურიდიულ შედეგებს უკავშირდება.

ზემოთ მოყვანილი არაერთი მიზეზის გამო, მედიაციისთვის გამოყოფილი 6 თვიანი პერიოდის დასრულების მიუხედავად, ქვეყნისთვის კვლავაც დიდი მნიშვნელობისაა ნამახვანი ჰესის პროექტის შესახებ დამოუკიდებელი შეფასებების ორგანიზება და მათი ძირითადი მიგნებების გაცნობა. ამჟამინდელი შეთანხმების მიხედვით შეფასებების მომზადება იმ ეტაპამდე გადაიდო, ვიდრე პროექტის მომავალი ცნობილი გახდება. „გარემოსდაცვითი და კომერციული ნაწილის შეფასებები დროებით შეჩერებულია იმ ეტაპამდე, სანამ მეტი სინათლე მოეფინება ნამახვანი ჰესის პროექტის მომავალს“ - აღნიშნულია ენერგეტიკული გაერთიანების ანგარიშში.

²⁷ ნამახვანი ჰესზე კანონით გათვალისწინებული დასკვნა არ გაგვიცია — ფინანსთა სამინისტრო, 18 ოქტომბერი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021
<https://netgazeti.ge/news/570045/?fbclid=IwAR01pjuKhSzUDaJSWkBTYx-xJwDR3-vQ6mptYSfzgwZNTp9ZbCC8yUTindU>

დასკვნა

მისასალმებელია, რომ მედიაციის ფარგლებში მოხერხდა შეთანხმება დამოუკიდებელი შეფასებების მოსამზადებელი ტექნიკური დავალებების შესახებ. პროექტის განახლების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაცია, შეთანხმებული ტექნიკური დავალების მიხედვით უნდა შეფასდეს, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა.

თუმცა, ენერგოგაერთიანების ის გადაწყვეტილება, რომ პროექტის დამოუკიდებელი შეფასებები გადავადდეს, მიმდინარე პერიოდისთვის კვლავ ბუნდოვანს და შეუფასებელს ტოვებს მონაცემებს ნამახვანი ჰესის პროექტის პრობლემურობის შესახებ.

მოცემული ანგარიშის გაზიარებით ჩვენ ვეცადეთ, სათანადოდ აღვეწერა მედიაციის მსვლელობის შესახებ, ვიმსჯელებთ რამდენიმე საკვანძო საკითხზე, რომლის შესახებაც ენერგოგაერთიანების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღება დათმობილი არ იყო. ალტერნატიული ანგარიში ამ ღიაობის შევსებასთან ერთად, ფართო საზოგადოების ინფორმირებასაც ემსახურება.

სამწუხაროდ, როგორც ეს ანგარიშშია აღწერილი, მედიაციის ფორმატი სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფდა იმ ძირითადი შინაარსობრივი საკითხების განხილვას, რაც ნამახვან ჰესის პროექტის წინააღმდეგობრიობას განაპირობებს. მედიაციის მონაწილე ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას ჰქონდათ მრავალმხრივი, მათ შორის სამართლებრივი, შეკითხვები პროექტის სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მდგრადობასთან დაკავშირებით. მედიაციის საწყის ეტაპზე არსებობდა იმედი, რომ ფორმატის მეშვეობით, ენერგოგაერთიანების ჩართულობით, მათზე პასუხის გაცემა მოხერხდებოდა. მიუხედავად ამისა, ფორმატის წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში და, მთელ რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა ცალმხრივი გადაწყვეტილებების გამო, მედიაციამ ეს როლი ვერ შეასრულა.

დანართი 1: მედიაციის პროცესში პროექტის დროებითი შეჩერებისა და შესწავლის მოთხოვნის საფუძვლები

პროექტის დროებითი შეჩერებისა და შესწავლის საფუძვლებად საზოგადოებრივი ორგანიზაციები 12 ივნისს ნატახტარში გამართული მედიაციის პირველი შეხვედრის დღესა და მანამდე, ენერგოგაერთიანების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების დროს, ასახელებდნენ შემდეგ გარემოებებს:

1) გაცემული სახელმწიფო ნებართვების პრობლემურობა:

- 2020 წლის 6 აპრილის [გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნა სასამართლოში](#)²⁸
- 2021 წლის 5 მარტს [ნამახვანის ჰესების კასკადზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების მოთხოვნა](#)²⁹

2) სახელმწიფო ზედამხედველობისა და მონიტორინგის სისტემების სისუსტე:

- 2021 წლის 23 მარტს [დადასტურებული ფაქტი იმის შესახებ, რომ მშენებლობის ნებართვის პირობების დარღვევის მიუხედავად, პროექტის განმახორციელებელი არ დაჯარიმებულა](#)³⁰
- 2021 წლის იანვარს გარემოსდაცვითი ინსპექტირების მიერ დადგენილი დარღვევები და 2021 წლის 28 აპრილის [სასამართლო გადაწყვეტილება](#)³¹ „ენკა“ დაჯარიმების შესახებ.
- 2021 წლის 8 ივნისს სახელმწიფოს მხრიდან „ენკა“-სთვის დაუსაბუთებელი შეღავათის გაცემა და სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის ვადის 1 წლით [გახანგრძლივება](#)³²

²⁸ მწვანე ალტერნატივა და საია ნამახვანის ჰესების პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვენ, 6 აპრილი 2020, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://www.gyla.ge/ge/post/mtsване-alternativa-da-saia-namakhvanis-hesebis-proeqtze-gacemuli-garemosdacviti-gadatsyvetilebis-batilad-cnobas-itkhoven#sthash.7fDtvjXb.vqCV2a50.dpbs>

²⁹ საია და მწვანე ალტერნატივა ნამახვანის ჰესების კასკადზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას ითხოვენ, 5 მარტი 2021, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://www.gyla.ge/ge/post/saia-da-mtsване-alternativa-namakhvanis-hesebis-kaskadze-garemosdacviti-gadatsyvetilebis-moqmedebis-shecherebas-itkhoven#sthash.pvWzvnIV.vCQSQY2o.dpbs>

³⁰ მშენებლობის ნებართვის პირობების დარღვევის მიუხედავად, „ენკა“ არ დაჯარიმდა, 23 მარტი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021

<https://socialjustice.org.ge/ka/products/msheneblobis-nebartvis-pirobebis-darghvevis-miukhedavad-enka-ar-dajarimda>

³¹ ნამახვანის ჰესების მშენებელი კომპანია სასამართლომ პირობების დარღვევისათვის დააჯარიმა, 28 აპრილი 2021, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ბოლო ნახვა 23.12.2021

<https://gyla.ge/ge/post/namokhvanis-hesebis-mshenebeli-kompania-sasamartlom-pirobebis-darghvevisatvis-daajarima#sthash.x6ugJ27r.gN8Xhlq.dpbs>

³² სახელმწიფო „ენკასთვის“ დაუსაბუთებელი შეღავათების გაცემას აგრძელებს და სამშენებლო დოკუმენტაციის წარდგენის ვადას კიდევ 1 წლით უხანგრძლივებს, 8 ივნისი 2021, სოციალური

3) ნამახვანი ჰესის პროექტის ხელშეკრულების ლეგიტიმურობის საკითხი

- ნამახვანი ჰესის პროექტის ხელშეკრულების [გასაიდუმლოება³³](#) ორი წლის მანძილზე
- სოციალური სამართლიანობის ცენტრის და სხვა ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების [შეფასება³⁴](#), რომლის მიხედვით ხელშეკრულება სახელმწიფო ინტერესების დათმობით გაფორმდა
- ბუნებრივი რესურსის სათანადო შესწავლის გარეშე გასხვისება და ეროვნულ დონეზე პროექტის სარგებლიანობის [დაუსაბუთებლობა³⁵](#)
- ნამახვანი ჰესის პროექტის ხელშეკრულების ხელმოწერისთვის სავალდებულო იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროს დასკვნების დახურულობა და 2021 წლის 17 მაისს მათი გასაჯაროების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის სასამართლოს გზით [გასაჩივრება³⁶](#)
- 2021 წლის 25 მაისს მედიაში გაჟონილი ინფორმაცია 2019 წლის მარტში, ხელშეკრულების ხელმოწერამდე, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კრიტიკული დასკვნის შესახებ ნამახვანი ჰესის პროექტის ხელშეკრულებაზე, რომელიც ადასტურებდა, რომ ნამახვანის ხელშეკრულებით მთავრობამ დათმო სახელმწიფოებრივი ინტერესები. აქვე ირკვეოდა, რომ იუსტიციის სამინისტროს 22 პუნქტიანი შენიშვნიდან ფაქტობრივად არცერთი [არ იყო გათვალისწინებული³⁷](#) ხელმოწერილი ხელშეკრულების ტექსტში.

სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/sakhelmtsifo-enkastvis-dausabutebeli-sheghavatebis-gatsemas-agrdzelebs-da-samsheneblo-dokumentatsiis-tsardgenis-vadaskidev-1-tslit-ukhangrdzlivebs>

³³ *ნამახვანი – რას გვაკარგვინებს და რას გვაძლევს?* 7 თებერვალი 2021, აიფაქტი.

<https://ifactimereti.ge/namakhvani/>

³⁴ *ნამახვანი ჰესის ხელშეკრულების შეფასება, 4 მარტი 2021*, სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/namakhvani-hesis-khelshekrulebis-shefaseba>

³⁵ ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შეღავათები ნამახვანი ჰესის პროექტის ისტორია, 23 ივლისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021,

<https://socialjustice.org.ge/ka/products/kharvezebi-darghvevebi-da-dausabutebeli-sheghavatebi-namakhvani-hesis-proektis-istoria>

³⁶ *სოციალური სამართლიანობის ცენტრი ნამახვანი ჰესზე იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროს დასკვნების გასაჯაროებაზე უარს ასაჩივრებს*, 17 მაისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

ბოლო ნახვა 23.12.2021, <https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-namakhvani-hesze-iustitsiisa-da-finasta-saministros-daskvnebis-gasajaroebaze-uars-asachivrebs>

³⁷ *იუსტიციის სამინისტროს დასკვნა ადასტურებს, რომ ნამახვანის ხელშეკრულებით მთავრობამ დათმო სახელმწიფოებრივი ინტერესები*, 26 მაისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021, <https://socialjustice.org.ge/ka/products/iustitsiis-saministros-daskvna-adasturebs-rom-namakhvanis-khelshekrulebit-mtavrobam-datmo-sakhelmtsifoebri-nteresebi>

4) *ნამახვანი ჰესის პროექტის განმახორციელებლის გაუმჭვირვალე წესით შერჩევა (ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შეღავათები - ნამახვანი ჰესის პროექტის ისტორია: თავი 1)*³⁸

5) *საზოგადოებრივი პროტესტი*

- საპროტესტო კარვების გაშლა ადგილობრივ დონეზე, სოფელი ნამოხვანისა და ჟონეთის მიმდებარედ რიონის ხეობაში
- მასშტაბური აქცია სოფელ ჟონეთთან [7 თებერვალს](#)³⁹
- მასშტაბური აქცია ქალაქ ქუთაისში [28 თებერვალს](#)⁴⁰
- მასშტაბური აქცია ქალაქ ქუთაისში [14 მარტს](#)⁴¹
- მასშტაბური აქცია ქალაქ თბილისში 23-26 მაისის პერიოდში

დანართ 2: ხეობაში სახელმწიფო არაკონსტიტუციური შეზღუდვების დაწესების და პროტესტის მონაწილეების დევნის შესახებ

მინისტრ თურნავას დაპირების შემდეგ, რომ ხეობაში სამშენებლო სამუშაოები დროებით შეჩერდებოდა, და მას შემდეგ, რაც 12 მარტს ქალაქ ქუთაისში დაანონსებული მოლაპარაკებები [ჩაიშალა](#)⁴² ეკონომიკისა და გარემოს დაცვის მინისტრების მიერ მოლაპარაკების ოთახის დატოვების შემდეგ, ხეობაში სამშენებლო სამუშაოები 3 აპრილს განახლდა. ხეობას კომპანიის ახალი დირექტორი, ბატონი მერაბ ლომინაძე, ესტუმრა. ამის პარარელურად დიდი რაოდენობის საპოლიციო ძალები იყო მობილიზებული ხეობაში. 3 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაუშვებლად [მივიჩნევდით](#)⁴³ და

³⁸ *ხარვეზები, დარღვევები და დაუსაბუთებელი შეღავათები ნამახვანი ჰესის პროექტის ისტორია*, 23 ივლისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021, <https://socialjustice.org.ge/ka/products/kharvezebi-darghvevebi-da-dausabutebeli-sheghavatebi-namakhvani-hesis-proektis-istoria>

³⁹ *EMC უერთდება ნამოხვანში ადგილობრივების მშვიდობიან აქციას და სახელმწიფოს მოუწოდებს უზრუნველყოს შეკრების თავისუფლების დაცვა*, 7 თებერვალი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021, <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-uertdeba-namokhvanshi-adgilobrivebis-mshvidobian-aktsias-da-sakhelmtsifos-moutsodebs-uzrunvelqos-shekrebis-tavisuflebis-datsva>

⁴⁰ ქუთაისში ნამახვანჰესის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი აქცია გაიმართა, 1 მარტი 2021, civil.ge. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://civil.ge/ka/archives/402059>

⁴¹ *კვირას, 14 მარტს ქუთაისში ნამახვანჰესის წინააღმდეგ აქცია გაიმართება*, 12 მარტი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/526367/>

⁴² *პარლამენტში ნამახვანჰესის პროექტთან დაკავშირებით სპეციალური მოსმენა გაიმართება*, 4 მარტი 2021, რადიო თავისუფლება. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31132993.html>

⁴³ *დაუყოვნებლივ დატოვოს პოლიციამ რიონის ხეობა და შეწყდეს ნამახვანი ჰესის სამშენებლო სამუშაოები*, 3 აპრილი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021,

ვეწინააღმდეგებოდით „საპოლიციო ძალების მობილიზების ფონზე, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით და მოსახლეობის მოთხოვნების უგულვებლყოფით, ნამახვანი ჰესის სამშენებლო სამუშაოების განახლებას“.

4 აპრილისთვის, გუმათჰესთან, რომელიც სოფელი ნამახვანიდან დაახლოებით 18 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, საპოლიციო ბლოკპოსტი აღიმართა, რასაც მოსახლეობა პროტესტით შეხვდა. აქციის 2 მონაწილე დააკავეს.

2021 წლის 4 აპრილს აღნიშნულს მოჰყვა სახალხო დამცველის [მოწოდება](#)⁴⁴ შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი, არ გამოეყენებინა ძალა ნამახვანი ჰესის საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ.

„გადაადგილების შეზღუდვით მოქალაქეებს პრაქტიკულად ჩამოერთვათ შეკრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გაუვრცელებია დასაბუთებული ინფორმაცია იმ რეალური და მყისიერი საფრთხეების შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლადაც ხდებოდა უფლებაში ჩარევა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პირობებში, როდესაც წინასწარ გაცხადებული იყო მშვიდობიანი შეკრების ჩატარების შესახებ და მისი მონაწილეები არ აუღერებდნენ ძალადობრივ ზრახვებს“.

ამავე განცხადებაში სახალხო დამცველი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებდა თავი შეეკავებინა „ვითარების ხელოვნური ესკალაციისგან“ და უზრუნველყო გადაადგილების აღდგენა სოფელ ნამახვანის მიმართულელებით.

სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ, ხეობაში ვიზიტი 8 აპრილს განახორციელა და განაცხადა, რომ დაწესებული გადაადგილების შეზღუდვა დაუსაბუთებელი და არაპროპორციული იყო:

„ვერ დავინახეთ დასაბუთება იმისა, თუ რა საჭიროება იყო, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის, მით უმეტეს, რომ არანაირი წინაპირობა, ან მინიშნება, ან მოწოდება, ძალადობასთან დაკავშირებით არ ყოფილა“, – განაცხადა მან.

<https://socialjustice.org.ge/ka/products/dauqovnebliv-datovos-politsiam-rionis-kheoba-da-shetsqdes-namakhvani-hesis-samsheneblo-samushaoebi>

⁴⁴ სახალხო დამცველი მოუწოდებს შსს-ს არ გამოიყენოს ძალა ნამახვანი ჰესის საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ, 4 აპრილი 2021, სახალხო დამცველის აპარატი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-moutsodebs-shss-s-argamoiqenos-dzala-namakhvan-hesis-saprotesto-aktsiis-monatsileta-mimart>

მოგვიანებით, 10 აპრილს მდინარე რიონის ხეობაში ახალგაზრდა მამაკაცის გაუჩინარების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია⁴⁵. 11 აპრილს რიონის ხეობაში პოლიციამ დაშალა სოფელ ნამოხვანში რიონის ხეობის მცველების კარვები. პოლიციის ამ მოქმედებას, დილიდან თან ახლდა განსაკუთრებულად დიდი საპოლიციო ძალის მობილიზება და მოძრაობის სრულად შეზღუდვა ნამოხვანის მიმართულებით, მათ შორის კარვების მიმართულებით გადაადგილება შეზღუდული ჰქონდათ საპროტესტო აქციის ლიდერებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ნამოხვანში კარვების დაშლის საფუძველად სრულიად განსხვავებულ და წინააღმდეგობრივ ვერსიებს ასახელებდა. სამინისტრო ოფიციალური განცხადებით უთითებდა მდინარე რიონში წყლის დონის განსაკუთრებული მატებისა და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საფრთხეზე. თუმცა, ადგილზე სამინისტროს წარმომადგენლების მიერ კარვების დაშლის საფუძველად სახელდებოდა მიმდინარე სამძებრო-სამაშველო სამუშაოები და ადგილობრივთა არასანდო ქცევა. (რიონის ხეობაში გაუჩინარებული მამაკაცის ცხედრის პოვნის შესახებ 9 მაისს გავრცელდა ინფორმაცია).

12 აპრილს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გაავრცელეს [განცხადება](#)⁴⁶, სადაც ვწერდით, რომ:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საკუთარი მოქმედებების დასაბუთება სრულიად არათანმიმდევრული და არადაამაჯერებელია და მიზნად რიონის ხეობის მცველების მშვიდობიანი და კანონიერი პროტესტის ხელშეშლას ისახავს, რაც მძიმე, გაუმართლებელი და არაპროპორციული ჩარევას შეკრების და გამოხატვის თავისუფლებაში“.

13 აპრილს საპროტესტო აქციის მსვლელობისას პოლიციამ ისევ გამოიყენა იძულების ღონისძიებები და დააკავა [6 პირი](#)⁴⁷. 14 აპრილს ხეობაში რკინის ბარიკადები აღიმართა, რასაც ასევე [გამოუხმაურნენ](#)⁴⁸ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ისინი წერდნენ, რომ ხელისუფლება „ხეობაში მრავალრიცხოვანი საპოლიციო ძალის მობილიზებით, დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესებით და ადგილობრივების უფლებების უხეში დარღვევით, თავად

⁴⁵ რიონის ხეობის ერთ-ერთ მცველს მდინარეში ეძებენ, 10 აპრილი 2021, მთავარი. ბოლო ნახვა <https://mtavari.tv/news/39436-rionis-kheobis-ert-ert-mtsvels-mdinareshi-edzeben>

⁴⁶ საზოგადოებრივი ორგანიზაციები რიონის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურებიან, 12 აპრილი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021

⁴⁷ “პოლიციამ გამოიყენა იძულების პროპორციული ღონისძიებები, დაკავებულია 6 პირი” – შსს გუმათზე, 14 პარილი 2021, ნეტგაზეთი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/534863/>

⁴⁸ სოციალური სამართლიანობის ცენტრი: ხელისუფლება ნამახვანი ჰესის ირგვლივ დიალოგის სივრცეს არ ტოვებს, 14 პარილი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsenti-khelisufleba-namakhvani-hesis-irgvliv-dialogis-sivrtses-ar-tovs>

უწყობს ხელს პროცესის ესკალაციას და საგნობრივი, კონსტრუქციული დიალოგის სივრცეს არ ტოვებს“.

20 მაისს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამოაქვეყნა საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამოხვანის პროტესტის დროს, სადაც 3-11 აპრილის და შემდგომი მოვლენებიც [შეფასდა](#)⁴⁹ და ითქვა, რომ:

1. 3 აპრილს დაფიქსირდა, როგორც გადაადგილების თავისუფლების, ისე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში დაუსაბუთებელი და დისპროპორციული ჩარევა
2. დაუსაბუთებელი და არაპროპორციული იყო სამართალდამცავების მოქმედება 11 აპრილს
3. პოლიცია ნამოხვანის აქციის მონაწილეების მიმართ ისეთ რეპრესიულ მეთოდებსაც იყენებდა, როგორებიცაა დაკავება და ჯარიმები, რაც პროცესის ესკალაციას უწყობს ხელს და რადიკალიზების საფრთხეებს ზრდის.

27 მაისს სოფელ გუმათის პოლიციის ბლოკპოსტთან გამართულ აქციაზე პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის ინციდენტს ისევ ჰქონდა ადგილი, რასაც შეკრების 8 მონაწილის დაკავება მოჰყვა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი თავის [განცხადებაში](#)⁵⁰ ნამოხვანში საპოლიციო შეზღუდვების დაუყოვნებლივ მოხსნას ითხოვდა. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ პარალელურად, დაკავებული აქტივისტის მხარდასაჭერად [აქციები](#)⁵¹ იმართებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთან.

დამატებით, 12 აპრილს პროტესტის მონაწილეები სისხლისსამართლებრივი დევნის მსხვერპლები აღმოჩნდნენ და ეს მოგვიანებით, 2021 წლის 23 ივლისს გავრცელებული განცხადებით, დაუსაბუთებელ დევნად [შეფასდა](#)⁵² სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ.

⁴⁹ საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამოხვანის პროტესტის დროს, 20 მაისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/sapolitsio-ghonisdziebebis-shefaseba-namokhvanis-protestis-dros>

⁵⁰ ხელისუფლებამ დროულად უნდა მოხსნას სოფელ ნამოხვანში საპოლიციო შეზღუდვები, 29 მაისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/khelisuflebam-droulad-unda-mokhsnas-sofel-namokhvanshi-sapolitsio-shezghudvebi>

⁵¹ დაკავებული აქტივისტის მხარდასაჭერად “რიონის ხეობის გადარჩენისთვის” აქციას გამართავს, 2 ივნისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://netgazeti.ge/news/545712/>

⁵² ნამოხვანის საწინააღმდეგო აქციაზე დაკავებული ახალგაზრდების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაუსაბუთებელია, 23 ივნისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/namakhvanthesis-satsinaaghmdego-aktsiaze-dakavebuli-akhalgazrdebis-mimart-sikhhlissamartlebrivi-devna-dausabutebelia>

2021 წლის 22 ივლისს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელითაც მიმართა. საჩივრის თანახმად, ცენტრმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სოფელ ნამოხვანის მიმართულებით გადაადგილების უკანონოდ და დაუსაბუთებლად შეზღუდვა [გაასაჩივრა](#)⁵³. აღნიშნულის შესახებ სასამართლო სხდომა ჯერაც არ ჩანიშნულა.

⁵³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი ნომოხვანში გატარებულ საპოლიციო ღონისძიებებს ასაჩივრებს, 23 ივნისი 2021, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბოლო ნახვა 23.12.2021 <https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-nomokhvanshi-gatarebul-sapolitsio-ghonisdziebebs-asachivrebs>